

მისამართი:

რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სახელის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.  
რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22

ხელის მოწერა:

წლის დამფუძნებელი — 750 მან. (ფოსტ. ხარჯით).  
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი

მიიღება ნაშუადღევს 2 საათამდის. სტრიქონი პერიოდით  
1 გვერდზე — 20 მან. 2-4 გვერდზე — 10 მან. სამკლავიანი  
განცხადება 30 სტრიქონი — 400 მან.

საქართველოს

## ნაციონალური პარტიის

პირველი

## კონფერენცია

### დღიური წესრიგი:

- საქართველოს საგარეო — პოლიტიკური მდგომარეობა.
- საქართველოს საშინაო — ეკონომიური მდგომარეობა.
- ჩვენი პარტიის ტაქტიკა — ოპოზიცია.

მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.  
პროგრამისა და წესდების განხილვა.  
სამაზრო მოხსენებანი (დღეგატებისა).  
საერო და საპარლამენტო არჩევნების სამუადისი.  
არჩევნები მთავარი კომიტეტისა  
მიმდინარე საქმეები.

პროგრამაზე მსჯელობის დროს განხილული იქნება რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის დებულებანი.

კონფერენციაზე დასწრება შეუძლიათ არა დელეგატებსაც — პარტიის წევრთ.

### კონფერენციის მორალური სხდომა

განხილვა დღეს, კვირას, დილის 10 საათზე  
ქალაქის საბჭოს დარბაზში

## სადღეისო

დღეს საქართველოს დედა ქალაქ თბილისში ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულ ქართველ ნაციონალისტებში პირველი კონფერენცია.

თავისუფალ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის ეს მომენტი უმნიშვნელოდ არ ჩაივლის, რადგან თუ რამ აკლია ჩვენს ქვეყანას ეს არის ნაციონალისტთა პარტიის მაგარი ორგანიზაცია.

ქართველ ნაციონალისტებს გვგმა პარტიკა: დაცვა და გამაგრება გფრთხილებულ და თავისუფალ საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებისა, დაყრდნობის რესპუბლიკურ მართვა-გამგებლობის საფუძველზე.

ნაციონალისტებს არ სწამთ სოციალისტური პროლეტარული საქართველო, რომელმაც ხალხი სრულ გაკლტრების გზას დააყენა.

ნაციონალისტებს არ სწამთ არც მხოლოდ ვაჭრული საქართველო, რადგან მართო ვაჭრებს არსად შეუქმნიათ სახელმწიფო და ჩვენში კი სადაც ვაჭრობა-მრეწველობა დაადგენთ ხანაში იმყოფება და უსუსურ ბავშვებით უკლტრია — მით უფრო სახელმწიფოს არ შექმნის.

ნაციონალისტებს სწამთ მხოლოდ მეურნეთა საქართველოს სახელმწიფო, რადგან მხოლოდ ქართველი მეურნე-მეცხოვეთე გლეხობა წინათ და დღესაც შეადგენს სახელმწიფოს ქვაკუთხედს, რადგან მხოლოდ მეურნე აძლევს სახელმწიფოს ფულს, პურს, ჯარისკაცს და იგივე მეურნე მატარებელია საღ და მავარ ნაციონალურ პოლიტიკისა — შიგნით და გარეთ.

და სწორედ ამ მიუჩინე და ნამდილი საქართველოსათვის მსახურება და მისი ინტერესებისათვის ბრძოლა შეადგენს უდიდეს მიზანს ნაციონალისტთა პარტიისა.

საქართველოს ეროვნულ დროშის ქვეშ, ამ დიად მიზნის განხორციელებისათვის და დროა რწმენით რომ ჩვენ საბოლოოდ გამარჯვებულნი გამოვალთ ამ ბრძოლიდან, შევკრებილი პირველი კონფერენცია ნაციონალისტებისა იქნება მაგარ საფუძველს ჩაუყრის საფული, შეურნეთა პარტიის ორგანიზაციას და მისცემს მას საღ ნაციონალურ პროგრამას სახელმძღვანელოდ.

დ. ვაჩაძე

### კონფერენციისათვის

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ არ გაუვლია სამთვეზე მეტს, რომ ჩვენს პარტიასაც მიუხედავად დამოუკიდებელი არცებობა.

ორ წელწადზე მეტია, რაც ჩვენი პარტია ჩამოშორდა ეროვნულ დემოკრატიებს და ცალკე მუშაობას აწარმოებს.

დღევანდელ აბოპოქრიფულ, ვარდა-დავლ ხანაში, როცა ცხოვრება ეგოდენ ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ, პარტიის ხელმძღვანელებს დღე და ენერგიული მუშაობა სჭირდებათ.

ძნელია საზოგადოდ ყოველი ახლი პოლიტიკური პარტიის მუშაობა და მით უმეტეს ძნელი იყო ჩვენი პარტიისთვის, როდესაც მოწინააღმდეგე პარტიები მასში დეშაკრებდნენ და კაცი ქამიებს, შოვინისტებს გვიწოდებენ. ფართო — მასა ხალხი, მეტადვე რევოლუციონურ ხანაში, სოციალისტების წითელი ფარეზი, და ათასგვარი დაპირებებით ვაბრუნებულნი და დამაფრანდი, ერიდებდნენ იმ პარტიას, რომელიც მართლა აწვის შექმას კი არა ფიქრობდა, არამედ იბრძოდა იმისთვის, რომ ქართველი ერი სხვას არ შეეკამა.

კერძო შესაკუთრება გლეხები საქართველო არ შეიძლება დიდხანს იყვეს მოტყუებული სოციალისტების წითელი ლაპაზი ფრაზეოლოგია.

აღრე თუ ვიან მან თავისი ბუნებრივი გზა უნდა მონახოს და ვაპყვის იმ პარტიას რომლის წმიდანა წმიდას შეადგენს საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი სასოფლო მეურნეობის აყვავება კერძო შესაკუთრება და ხმარებათ და წაქეზებით.

ამ იმედებით გამსჭვალულმა ნაციონალური პარტიის მთავარმა კომიტეტმა პარტიის პირველი კონფერენცია მოიწვია რომელიც წუხელ გაიხსნა.

დელეგატები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან არიან ჩამოსულნი, რაიც თავფება იმისა, რომ ჩვენი იდეები კონფერენციის შემდეგ კ დევ უფრო განმტკიცებული და გასაღვლდევებული ცენტრიდან პერფექტებში მოეფება.

ჩვენ არა ვართ მდიდრება ფულით, მაკრამ რწმენა ჩვენი არის შეურყეველი და მაგარი.

ჩვენ ვჯვკრა, ორპადა გართ დარწმუნებულნი, რომ მს, ვინც დღევანდელ აუტანელ პირობებში არ მოეკლდა მართველ პარტიას თბილი ადგილის შილა-პოვებლად და მთავრობის მიმართ სახელმწიფოებრივ ოპოზიციას აწარმოებს, კვლავაც გაბედულად, ენერგიულად და თავდადებით ითუშავებს ჩვენს პარტიაში სამშობლოს სკეთილდღეობა.

მ. იშხნელი.

## პრესა.

ეროვნულ-დემოკრატიულ განკავშირებად  
„სახალხო საქმეში“ ო. ლლონჯი  
სწერს:

„მთელი ჩვენი აღებ-მარცხოების საღეცეები მოყრილია ბანკებში. ბანკია არა მართო უბარლო სესხის გამცემი. მთელი ჩვენი ღირებულებათა ნამდვილი რეგულიატორიც. რა საშუალებით ახერხებს ჩარჩი იაფად ყიდვას და ძვირად გაყიდვას? — ბანკის საშუალებით. საიდან შოულობენ კერძო ჩარჩები აუარებელ ფულს თავის სასაეკულო-აციო მიზნების გასანაღებლად? — ბანკიდან. ბანკები — სოციალურ და ნექტარია ვაჭრებისათვის, უბანკოდ მათ წლათი ცხოვრებაც არ შეუძლიათ, ბანკია მათი სიმდიდრის და ბრწყინვალე მომავლის უტყუარი პირობა.

ვისაც ბანკი აქვს ხელში — მას აქვს მთელი ცხოვრების საღეცე, რა ნაირი ბანკიც არის — ისეთივეა ეკონომიკის განვითარებად. მთელი ჩვენი საქრედიტო აპარატი უმთავრესად მოტყუებულია შემდეგს ბანკებში: საკოპერაციო ბანკი, სახელმწიფო ბანკი, ცენტრო ბანკი, ამ. კავკასიის ბანკი და სასოფლო-სამეურნეო საზ. ბანკი, ყველაზე ნორჩი და ჯერ კდეც ყველაზე სუსტი თავ სი თახებში არის პირველი ბანკი, რომელიც საქართველოს საბანკო კონკრეტში ჯერ ვერ თამაშობს სათანადო როლს. დანარჩენი ყველა ბანკები ჩვენმა მთავრობამ გადაულოცა ჩვენს ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას და ამწაირად გენშევიკები ფიქრობენ ქვეშაობრივ დემოკრატიული სახელმწიფოს დაარსებას ნაციონალ-დემოკრატიების პოლიტიკის მიხედვით.

ბანკების კონკრსიუშია გადაწყვეტი მთელი რიგ მთავარ საეკონომიკო პრობლემათა, ბრინკივებსა და მიმართულებებს აქ არა თუ მთავარი მნიშვნელობა არ აქვს, არამედ მას აქვს გადაჭრული ხასიათი, მაგრამ მთელი საბანკო საქმეები და მათი შეფასება ჩვენი ცხოვრების ჩაბარებული აქვს მხოლოდ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას.

სახელმწიფო ბანკს განაგებს — იასონ ლორთქიფანიძე, წევრი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიისა, ცენტრობანკის მმართველია პარაენ გოაუა — წევრი იმავე პარტიისა, ამიერ-კავკასიის ბანკის თვმჯდომარეა ნაყოლოზ წვერავა — ნაციონალ-დემოკრატი და სხვ.





